შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი

ბ/ კალენდარული გეგმა

გ/ გრაფიკული ნაწილი:

ნახაზი მო-1----------სამშენებლო გენგეგმა;

ნახაზი მო-2----------სადემონტაჟო სქემა

ა) განმარტებითი ბარათი

1 სამშენებლო ტერიტორიაზე განლაგებულია ერთსართულიანი უსარდაფო სამრეწველო დანიშნულების შენობა. წინამდებარე პროექტში განხილულია შენობის სადემონტაჟო სამუშაოების პირობები და მეთოდები.

<u>სადემონტაჟო შენობა</u>:

იგი გადაწყვეტილია ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციებში.

-საძირკველი ----------წერტილოვანი მონოლითური რკინაბეტონისაგან;
-სვეტი----------ანაკრები რკინაბეტონისაგან;
-გადახურვის კონსტრუქცია-----ანაკრები 18 მ-იანი ფერმა / წონა დაახლოებით 15ტნ-მდე /;
-კედელი----------ანაკრები საკედლე პანელები

2 სამშენებლო ორგანიზაცია ამუშავებს **სამუშაოთა წარმოების პროექტს**. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს: სახურავის გაწმენდა----ფენილების და მცენარეების მოხსნა, დროებითი შენობების დაყენება თავისუფალ ტერიტორიაზე ჯგუფურად, არსებული ღობის გამოყენება, შენობის მაგისტრალური ქსელების გამორთვა, სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქალაქის ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაობის შესახებ.

3 სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით.

აკრძალულია: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება **<u>ორი-სამი კონსტრუქციების ერთად</u>**!
სამუშოების დროს უნდა **იყოს გათვალისწინებული**:
ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ქამრებით და სათვალეებით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი ადგილი, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა

სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

<u>სამუშაოების თანმიმდევრობა:</u>

კონსტრუქციების დემონტაჟი და გადმოტვირთვა მოხდეს მუხლუხასავალიანი ამწე СКГ-40/63 H=25.0 L=10.5 საშუალებით /18-იანი ანაკრები წამწის და მაღალი სვეტების გამო/. მექანიზმის შერჩევა მოხდეს სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად, მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე.

პირველი ეტაპის დროს მოხდეს ერთი მონაზომის ფარგლებში საკედლე პანელების მოხსნა, /ამწე მოძრაობს გარე კონტურის ფარგლებში, ფასადის ბოლო წერტილიდან -5 მ-ზე/. აუცილებლად გათვალისწინდეს კარ-ფანჯრების ამოღება და შიდა ტიხრების და ანტრესოლის დემონტაჟი.

მეორე ეტაპის დროს მოხდეს გადახურვის სისტემის აღება--------- მუხლუხასავალიანი ამწე მოძრაობს შენობის შუამალში, ხდება გადახურვის ფილების დემონტაჟი / შემდეგ ხდება ერთი თავისუფალი წამწის აღება და ასე შემდეგ მონაზომების მიხედვით/. ამ შემთხვევაში წამწეების განტვირთვა მოხდეს თანაბარი მეთოდით: ანუ ერთი ფილა მოიხსნება მარჯნივ, ერთი მარცხნივ და ასე შემდეგ.

მესამე ეტაპის დროს მოხდეს სვეტების დემონტაჟი. დემონტაჟამდე გათვალისწინდეს მათი დროებითი გამაგრება. დემონტაჟის დროს ანაკრები სვეტი გადაიჭრას საძირკვლის ჭიქის ზედაპირზე დაკიდებულ მდგომარეობაში.

მეოთხე ეტაპის დროს მოხდეს გრუნტის დამუშავება ხელით და საძირკვლის ჭიქის, სვეტის ნარჩენების და საძირკვლის კოჭის ამოღება.

სამუშაოების დროს აუცილებლად გათვალისწინდეს:

-სამონტაჟო ლითონის კიბეების გამოყენება მუშებისათვის / კონსტრუქციების მიმაგრების ადგილებთან /;
-ანაკრები კონსტრუქციების შორის ნაკერების და კვანძების გახსნა დროებითი გამაგრების გათვალისწინებით;
-ანაკრები კონსტრუქციების სამონტაჟო ყულფების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ახლის მოწყობა;
-დემონტირებული კონსტრუქციების გადმოტანა და დალაგება სპეციალურ მოედანზე;
-ტრავერსების გამოყენება და მათი პარამეტრების გათვალისწინება ამწის შერჩევის დროს.

4. ვინაიდან მშენებლობის ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად, ხანგრძლივობა პირობითად მიღებულია **T=3.0თვე,** სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე.

5. ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების – **"მშენებლობის უსაფრთხოების წესები"-**ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6. სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად მოხდეს **მშენებლობის წარმოების პროექტის** დამუშავება სამშენებლო ორგანიზაციის მიერ.

მუხლუხასავალიანი ამწე СКГ-40/63-ის ტექნიკური დახასიათება

1	კოშკის სიგრძე	25.00მ
2	ბატიტელის სიგრძე	10.00მ
3	ისრის შვერა	6.00-12.00მ
4	ტვირთამწეობა	18.00-10.20ტ
5	აწევის სიმაღლე	34.00-24.50მ
6	ამწის წონა	68.60ტნ

ყურადღება! ამწის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად ანალოგიურ მარკაზე.

ბ) კალენდარული გეგმა T=3.00 თვე

N	სამუშაოს დასახელება	დღე	1 თვე						2 თვე						3 თვე					
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
	მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები																			
1	მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება /იხილე განმარტებითი ბარათი/	15																		
	ძირითადი პერიოდის სადემონტაჟო სამუშაოები																			
	შენობა 1/2																			
1	სადემონტაჟო კონსტრუქციების მომზადება დემონტაჟისათვის																			
2	შიდა სივრცის გასუფთავება ტიხრებისაგან და ანტრესოლის დემონტაჟი	75																		
3	კარ-ფანჯრების ამოღება და საკედლე პანელების დემონტაჟი																			
4	ანაკრები გადახურვის ფილების და წამწეების დემონტაჟი																			
5	ანაკრები სვეტების დემონტაჟი																			
6	გრუნტის დამუშავება ხელით																			
7	საძირკვლის ჭიქის და კოჭების ამოღება																			
	საერთო სამუშაოები																			
1	სამშენებლო ნაგვის გატანა	-																		
2	სხვადასხვა სამუშაოები	-																		

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

არსებული სამრეწველო დანიშნულების შენობის დემონტაჟის პროექტი

მისამართი: ქ. თბილისი, სტანისლავსკის ქ№5 /ნაკვეთი №3/038/

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

დაამუშავა: /ბ. გოგოლაური/

ქ. თბილისი 2015წ

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT



ექსპლიკაცია

1	სადემონტაჟო საწყობი
2	სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი
3	დროებითი კვების ოთახი
4	დროებითი საინვენტარო
5	დროებითი დახურული საწყობი
6	მუხლუხასავალიანი ამწე
7	დემონტირებული ნაწილების დროებითი მოედანი
8	არსებული ღობე

პირობითი აღნიშვნები

-სადემონტაჟო შენობა

-დროებითი შენობა

-არსებული ღობე

ნახაზი: სამშენებლო გენგეგმა მო-1

დაამუშავა: /ბ გოგოლაური/

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT



შენიშვნა: სამონტაჟო მექანიზმის მარკის შეცვლა შეიძლება ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად!

ნახაზი: სადემონტაჟო სქემა მო-2
დაამუშავა: / ბ. გოგოლაური/

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT
PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT